

მათემატიკური ანალიზის კათედრა

- სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: **მათემატიკის დეპარტამენტი, მათემატიკური ანალიზის კათედრა.**
- სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: უმანგი გოგინავა
- სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა: ლერი გოგოლაძე, თეიმურაზ ახობაძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, თენგიზ კოპალიანი, ლაშა ეფრემიძე, ანა დანელია, გიორგი ჭელიძე, გივი ნადიბაიძე, რუსუდან მესხია, შალვა ზვიადაძე.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ფურიე-უოლშის მწკრივების შეჯამებადობის შესახებ	უ. გოგინავა	უ. გოგინავა, გ. გატი, კ. ნავი
<ul style="list-style-type: none"> • ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების კვადრატული კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოების შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის შესწავლილია შემოსაზღვრულობის საკითხები ჰარდის $H_{2/3}$ სივრციდან სუსტ $L_{2/3}$ სივრცეში, კერძოდ დადგენილია, რომ ყოველი ინტეგრებადი ფუნქციისათვის ადგილი აქვს ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების კვადრატული კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოების თითქმის ყველგან შეჯამებადობას. • შესწავლილია ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების ძლიერად შეჯამებადობის საკითხები, კერძოდ დადგენილია ექსპონენციალური საშუალოების თანაბრად შეჯამებადობის საკითხები, ასევე დამტკიცებულია ზემოთ ხსენებული თეორემის გაუძლიერებადობა. • ორმაგი ფურიე-უოლშის მწკრივებისათვის განხილულია ორობითი სამკუთხოვანი კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოები და ასეთი საშუალოების შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის დადგენილია სუსტი ტიპის უტოლობები, კერძოდ, მტკიცდება, რომ ყოველი ინტეგრებადი ფუნქციის ორობითი სამკუთხოვანი კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოები თითქმის ყველგან კრებადია ფუნქციისაკენ. 			
2	ფურიეს მწკრივები ზოგადო ორთონორმირებული სისტემის მიმართ	ლ. გოგოლაძე	ლ. გოგოლაძე, ვ. ცაგარეიშვილი
<ul style="list-style-type: none"> • შესწავლილია ფუნქციათა დიფერენციალური კლასებისათვის ზოგადი ორთონორმირებული სისტემების(ონს) მიმართ ფურიეს მწკრივების ჩეზაროს მეთოდით შეჯამებადობის საკითხი. • შესწავლილია ფურიე-ჰაარის კოეფიციენტების ვარიაციის საკითხები, ისეთი ფუნქციებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ზიგმუნდის კლასს. დამტკიცებულია, რომ მიღებული შედეგი გაუძლიერებადია გარკვეული 			

<p>აზრით. აქვე ზოგადი ორთონორმირებული სისტემისათვის განხილულია, სასრული ვარიაციის ფუნქციებისათვის ჩეზაროს აზრით აბსოლუტურად შეჯამებადობის საკითხი. დამტკიცებულია მიღებული შედეგის გაუძლიერებადობა. ნაჩვენებია, რომ ყოველი ონს შეიცავს ქვესისტემას, რომლის მიმართ ყოველი სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს მწკრივი აბსოლუტურად შეჯამებადია ჩეზაროს აზრით.</p> <ul style="list-style-type: none"> განხილულია სასრული ვარიაციის ფუნქციების ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხი, როცა ორთონორმირებული სისტემის ლებეგის ფუნქცია შემოსაზღვრულია გარკვეული მონოტონური მიმდევრობით. სისტემის ფუნქციები კი აკმაყოფილებენ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ფუნქციების ფურიეს კოეფიციენტებისათვის გარკვეულ დამოკიდებულებებს. ეს დამოკიდებულებები თავის მხრივ იწვევენ მათი ფურიეს მწკრივების კრებადობას. დამტკიცებულია, რომ მიღებული პირობები არიან გაუძლიერებადი. განხილულია მრავალი ცვლადის ორთონორმირებული სისტემები. დადგენილია ხინჩინის უტოლობის ანალოგი მრავალგანზომილებიანი დადებითი ზომის სიმრავლეებისათვის. დამტკიცებულია, რომ ორგანზომილებიანი ჰაარის სისტემის შემთხვევაში აბსოლუტურად კრებადია ყოველი სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტებისაგან შედგენილი მწკრივი 1-ზე მეტი ხარისხის მაჩვენებლით. დადგენილია აგრეთვე აღნიშნული შედეგის გაუძლიერებლობა ზოგადი, სრული ორთონორმირებული ორგანზომილებიანი სისტემებისათვის. 		
<p>ბანახის სივრცეთა გეომეტრია და მისი გამოყენებანი ჰარმონიულ ანალიზში</p>	<p>თ. კოპალიანი</p>	<p>თ. კოპალიანი შ. ზვიადაძე ნ. სამაშვილი გ. კაკოჩაშვილი ა. გოგატიშვილი</p>
<p>შესწავლილია ბანახის სივრცის მახასიათებლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება აუცილებელი და საკმარისი პირობების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში ჰარმონიული ანალიზის მთელი რიგი ინტეგრალური და მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობას.</p>		

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ოპერატორები ზოგიერთ ფუნქციათა სივრცეში და მათი გამოყენებები ფურიეს ანალიზში	რუსთაველის ფონდი	თენგიზ კოპალიანი	უ. გოგინავა, გ. ონიანი, ა. გოგატიშვილი

2	ფუნქციათა სივრცეები, ინტეგრალური ოპერატორებისათვის სწონიანი სივრცეები და ფურიეს მწკრივების შეჯამებადობა	რუსთაველის ფონდი	ა. გოგატიშვილი და ა. დანელია	უ.გოგინავა, თ. კოპალიანი, გ. ტეფნაძე, ნ. სამაშვილი
3	ფურიეს კოეფიციენტები და კრებადობის საკითხები.“ FR/223/5-100/13.	რუსთაველის ფონდი	ლ. გოგოლაძე	ლ.გოგოლაძე, ვ. ცაგარეიშვილი
4	ფუნქციათა კლასები და ორთოგონალური მწკრივების კრებადობის საკითხები.“ FR/10215.	რუსთაველის ფონდი	ვ. ცაგარეიშვილი	ლ.გოგოლაძე, ვ. ცაგარეიშვილი
	ოპერატორები ზოგიერთ ფუნქციათა სივრცეში და მათი გამოყენებები ფურიეს ანალიზში	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. კოპალიანი	გ.ონიანი უ.გოგინავა თ.კოპალიანი ა.გოგატიშვილი

- დამუშავებული იქნა ლოკალური ჰარდის სივრცეების ვეივლექტ სისტემებით დახასიათების საკითხი.
- მრავალგანზომილებიან ვილენკინ-ფურიეს მწკრივების მარცინკევიჩ-ფეიერის საშუალოების შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორისათვის შესწავლილი იქნა $H_{d/d-1}$ სივრციდან სუსტ $L_{d/d-1}$ სივრცეში შემოსაზღვრულობის საკითხი.
- მიღებული იქნა ჰარდის სივრცეში მრავალგანზომილებიან ვილენკინ - მარცინკევიჩის საშუალოების კრებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები უწყვეტობის მოდულის ტერმინებში .
- პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ძირითადად :ფურიეს კოეფიციენტების შეფასებისა და ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხები ზოგადი ორთონორმირებული სისტემების (ონს) მიმართ. კონკრეტულად:1)მოძებნილი იქნა აუცილებელი და საკმარისი პირობა,რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ონს-ს ფუნქციები,იმისათვის ,რომ ყოველი უწყვეტი ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები შეფასებული იქნეს ამ ფუნქციის სივრცის მოდულით.2)დადგენილი იქნა კრიტერიუმები,რომლებიც ეხებიან სისტემის ფუნქციებს და იძლევიან გარკვეულ პირობებს,რომლებსაც აკმაყოფილებენ ლიპშიცისა და სხვა კლასის ფუნქციების ფურიეს კოეფიციენტები.ეს პირობები კი იწვევენ მათი ფურიეს მწკრივების შეჯამებადობას ჩეზაროს მეთოდით.
- ჰაარის სისტემის შემთხვევაში დადგენილია ზოგიერთი კლასის ფუნქციის ფურიე-ჰაარის კოეფიციენტების ნიშნები.შესწავლილია აგრეთვე აღნიშნული კლასის ფუნქციათა ჰაარის სპეციალური მწკრივების კრებადობის

საკითხი.ზოგადი ონს-ების შემთხვევაში მიღებულია შედეგები,რომლებიც შეეხებიან ზოგიერთი კლასის ფუნქციების ფურიეს ზოგადი მწკრივების კრებადობისა და შეჯამებადობის საკითხებს.მიღებული შედეგები უკავშირდება აღნიშნული კლასის ფუნქციების ფურიეს კოეფიციენტებს.ეს კოეფიციენტები აკმაყოფილებენ ე.წ. კანჩაუს პირობებს.მიღებული შედეგები გაუძლიერებადია გარკვეული აზრით.

- თანამედროვე ფურიეს ანალიზში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ტიპის მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორები. მათი თვისებების შესახებ ინფორმაცია იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას შესაბამისი აპროქსიმაციული პროცესების კრებადობის და განშლადობის შესახებ. აღნიშნული გარემოება ქმნის ძლიერ მოტივაციას მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორების შესწავლისათვის.შევნიშნოთ თანამედროვე ფურიეს ანალიზში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ტიპის მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორები. მათი თვისებების შესახებ ინფორმაცია იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას შესაბამისი აპროქსიმაციული პროცესების კრებადობის და განშლადობის შესახებ. აღნიშნული გარემოება ქმნის ძლიერ მოტივაციას მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორების შესწავლისათვის. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები ფართოდ გამოიყენება ფუნქციონალურ ანალიზში, კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებში, ალბათობის თეორიაში, რიცხვით ანალიზში.კლასიკური ფურიეს ანალიზის პრობლემატიკა უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ჰარმონიული ანალიზის ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა ანალიზი ლის ჯგუფებზე და სიმეტრიულ სივრცეებზე, ანალიზი უსასრულო გრაფებზე, ანალიზი ფრაქტალებზე და ა. შ. პროექტიში კვლევების ძირითადად მიმართულებები იყო:

1)მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში;

2)ტალღის განტოლების ამონახსნის აპრიორული შეფასებები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში;

3)უარდის თეორმის ანალოგები;

4)ორმაგი ფურიეს მწკრივების კვადრატული კერძო ჯამების შეჯამებადობა.

პროექტში შესწავლილი იქნა ოსცილაციური სინგულარული ინტეგრალური ოპერატორები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში.პროექტში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სტეინ-ბურგეინის თეორემის ანალოგიური დებულებების მიღებას ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებისათვის. ვინაიდან ასეთი ოპერატორები კლასიკურ ლებეგის წონიან სივრცეებში არაა შემოსაზღვრული საზოგადოდ, როცა წონა მაკენჰაუპტის კლასიდანაა, ამიტომ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტამ მოითხოვა ექსტრაპოლაციის და ინტერპოლაციის ახალი მეთოდების დამუშავება. შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ამოცანებს მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური გამტოლებების შესწავლისათვის. მიღებული იქნა ტალღის განტოლების სუსტი ამონახსნისათვის გარკვეული ტიპის აპრიორული შეფასებები. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ჰარდის ტიპის ოპერატორებისათვის სხვადასხვა აპროქსიმაციული რიცხვების (ბერშტეინის კოლმოგოროვის) ასიმტოტიკა, როცა სივრცე გარკვეულ გეომეტრიულ თვისებებს აკმაყოფილებს. სახელდობრ მიღებული იქნა შედეგები, რომლებიც არსებითად აზოგადობენ უკვე ცნობილ შედეგებს ამ მიმართულებით . პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გარკვეული ფუნქციონალური კლასებიდან აღებული ფუნქციების ფურიეს მწკრივთა სხვადასხვა აზრით კრებადობის და შეჯამებადობის საკითხს. აღნიშნული კლასები წარმოადგენენ კლასიკური ვარიაციული კლასების განზოგადოებებს ორი და მრავალი

ცვლადის ფუნქციებისათვის. დადგინდა არსებითი კავშირები აღნიშნული კლასებისათვის ჩადგმის თეორემებს და ფურიეს მწკრივთა კრებადობის და შეჯამებადობის საკითხებს შორის, მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გაუძლიერებადი შედეგები. პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სხვადასხვა ბასისების მიმართ მაქსიმალური ოპერატორების შემოსაძღვრულობის საკითხს ცვლადმაჩვენებლიანი ლებეგის სივრცეებისათვის აღმოჩნდა, რომ ძლიერი მაქსიმალური და ჰარდი ლიტტლვუდის მაქსიმალური ოპერატორი დიამეტრალურად განსხვავებით მოქმედებს აღნიშნულ სივრცეებში.

პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები გამოქვეყნებულია 16 საერთაშორისო დადებითი იმფაქტორის მქონე ჟურნალში და 5 ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში. პროექტის მონაწილეებმა მოხსენებები გააკეთეს 28 საერთაშორისო კონფერენციაზე.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2	ახობაძე თეიმურაზ, გოგინაძე გიორგი	განზოგადებული ჩეზაროს საშუალოების შეფასებების შესახებ, საქართველოს მეცნ. ეროვნული აკად. მოამბე	ტ. 10, 2, 2016	თბილისი

შესწავლილია ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ჩეზაროს განზოგადებული საშუალოების ყოფაქცევა უწყვეტ ფუნქციათა სივრცეში. კერძოდ, მოცემულია ამ საშუალოების გადახრის შეფასება შესაბამისი უწყვეტი ფუნქციებიდან.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თეიმურაზ ახობაძე, უშანგი გოგინავა, ანა დანელია, თენგიზ კოპალიანი, გივი ნადიბაიძე	კალკულუსი	თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა	288

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებიც იწყებენ დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტების შესწავლას. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც მიზნად აქვს დასახული მეცნიერების იმ დარგების შესწავლა, რომლებშიც ფართოდ გამოიყენება მათემატიკა. ეს კურსი მკითხველს წარმოდგენას უქმნის მათემატიკური ანალიზის ძირითად იდეებზე, უვითარებს ანალიზის ენის თავისუფლად და გააზრებულად გამოყენებისა და ტექნიკური გამოთვლების უნარს.

წიგნში გამოიყენება ინტუიციური მოსაზრებები, რათა შემზადდეს ნიადაგი მკაცრი მსჯელობისათვის. წიგნში ახსნილია მთელი რიგი ძირითადი დებულებები დამტკიცების გარეშე. იმისათვის, რომ ზუსტ მსჯელობებს არ გაეძნელებინა მასალის გაგება, მოგვიხდა ხელმეორედ გაგვეაზრებინა ზოგიერთი სტანდარტული მიდგომა. ხშირად ვიყენებთ მაგალითებსა და ვიზუალურ მასალას. ფუნქციათა გრაფიკების ესკიზები, ძირითადად, შესრულებულია "მაპლუ" პროგრამაში.

სახელმძღვანელოზე მუშაობა მკითხველისაგან არ მოითხოვს სპეციალურ მათემატიკურ განათლებას, გარდა მათემატიკის საშუალო სკოლის დონეზე ცოდნისა. სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს ლექციები, რომელიც წლების განმავლობაში იკითხებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

ანოტაციები ქართულ ენაზე

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ანოტაციები ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	U. Goginava, K. Nagy	Weak type inequality for the maximal operator of Walsh-Kaczmarz-Marcinkiewicz means. <i>Acta Math. Sci. Ser. B Engl. Ed.</i>	36 (2016), no. 2, 359--370.	Elsevier	12
2	U. Goginava, K. Nagy	Strong approximation by Marcinkiewicz means of two-dimensional Walsh-Kaczmarz-Fourier series. <i>Anal. Math.</i>	42 (2016), no. 2, 143--157.	Springer	15
3	G. Gat, U. Goginava,	Almost Everywhere convergence of dyadic triangular-Fejer means of two-dimensional Walsh-Fourier series,	19 (2016), no. 2, 401--415.	Ele-Math	15
4	U. Goginava.	Almost everywhere strong summability of two-dimensional Walsh-Fourier series. <i>Acta Math. Acad. Paedagog. Nyházi. (N.S.)</i>	32 (2016), no. 2, 233--246.		14
5	I.gogolaZe v.cagareiSvili	“Convergence of Fourier series with respect to general orthonormal system” <i>Math. Inequal. Appl.</i>	Math.Notes,2016 V.99,N4	Springer	გვ.618 -622 5გვერდი
6	ვახტანგ ცაგარეიშვილი	“The Fourier coefficients of continuous functions with respect to certain orthonormal systems“	2016,Math.Notesv.99, N3,	Springer	გვ.42 8-440. 12გვერდი.

Math-8

7	ლ.გოგოლაძე ვ.ცაგარეიშვილი	“Summability of general orthonormal Fourier series” Studia scientiarum mathematicarum Hungarica	N12.2015.52(4)	Academia Kiado	p.511-536 .26გვ.
8	D. Edmunds, A. gogatishvili, T. kopaliani	Some s-numbers of integral operators of Hardy type in Banach function spaces, J. Approx. Theory	v.207, Juli 2016	elsevier	76-97
9	D T. Kopaliani, Sh. Zviadadze	The Hardy–Littlewood maximal operator and BLO class of exponents, Georgian Math. J. 2016; 23 (3) : 393—398.	2016; 23 (3) : 393—398.	De Gruyter	393—398.
10	T. Kopaliani, N. Samashvili, Sh. Zviadadze	On the upper and lower estimates of norms in variable exponent; Math. Ineq. Appl., space, Volume 19, Number 1 (2016), 85–100.	Volume 19, Number 1 (2016), 85–100.	Element.math.	85-100
11	DT. Kopaliani, N. Samashvili, Sh. Zviadadze	Extension of best polynomial approximation operator in variable exponent Lebesgue spaces, Ann. Funct. Anal. 7 (2016), no. 2, 303—313.	7 (2016), no. 2, 303—313.	Duke univ.press	303-313
12	Ana Danelia	On some local properties of the conjugate function and the modulus of continuity of k -th order.	<i>Acta Mathematica Academiae Paedagogicae Nyíregyháziensis (accepted)</i>		
13	Ana Danelia	Conjugate functions and the modulus of smoothness of fractional order.	Journal of Contemporary Mathematical Analysis (<i>accepted</i>)	Springer	
14	G. Kakochashvili, Sh. Zviadadze,	On the theorem of F. Riesz in variable Lebesgue space	170	Elsevier	6
15	Sh. Zviadadze	Determination of jumps in terms of linear operators, Ukrainian Mathematical Journal	67 (12)	უკრაინა, Springer	10
16	R. Meskia	On the generalized absolute convergent of Fourier series, Georgian Math. J	To appear	De Gruyter	

- ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების კვადრატული კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოების შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის შესწავლილია შემოსაზღვრულობის საკითხები ჰარდის $H_{2/3}$ სივრციდან სუსტ $L_{2/3}$ სივრცეში, კერძოდ დადგენილია, რომ ყოველი ინტეგრებადი ფუნქციისათვის ადგილი აქვს ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების კვადრატული კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოების თითქმის ყველგან შეჯამებადობას.
- შესწავლილია ორმაგი ფურიე-უოლშის-კანმაჟის მწკრივების ძლიერად შეჯამებადობის საკითხები, კერძოდ დადგენილია ექსპონენციალური საშუალოების თანაბრად შეჯამებადობის საკითხები, ასევე დამტკიცებულია ზემოთ ხსენებული თეორემის გაუძლიერებადობა.
- ორმაგი ფურიე-უოლშის მწკრივებისათვის განხილულია ორობითი სამკუთხოვანი კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოები და ასეთი საშუალოების შესაბამისი მაქსიმალური ოპერატორებისათვის დადგენილია სუსტი ტიპის უტოლობები, კერძოდ, მტკიცდება, რომ ყოველი ინტეგრებადი ფუნქციის ორობითი სამკუთხოვანი კერძო ჯამების არითმეტიკული საშუალოები თითქმის ყველგან კრებადია ფუნქციისაკენ.
- განხილულია სასრული ვარიაციის ფუნქციების ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხი, როცა ორთონორმირებული სისტემის ლებეგის ფუნქცია შემოსაზღვრულია გარკვეული მონოტონური მიმდევრობით. სისტემის ფუნქციები კი აკმაყოფილებენ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ფუნქციების ფურიეს კოეფიციენტებისათვის გარკვეულ დამოკიდებულებებს. ეს დამოკიდებულებები თავის მხრივ იწვევენ მათი ფურიეს მწკრივების კრებადობას. დამტკიცებულია, რომ მიღებული პირობები არიან გაუძლიერებადი.
- სტატიაში შესწავლილია ფურიე-ჰაარის კოეფიციენტების ვარიაციის საკითხები, ისეთი ფუნქციებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ზიგმუნდის კლასს. დამტკიცებულია, რომ მიღებული შედეგი გაუძლიერებადია გარკვეული აზრით. აქვე ზოგადი ორთონორმირებული სისტემისათვის განხილულია, სასრული ვარიაციის ფუნქციებისათვის ჩეზაროს აზრით აბსოლუტურად შეჯამებადობის საკითხი. დამტკიცებულია მიღებული შედეგის გაუძლიერებადობა. ნაჩვენებია, რომ ყოველი ონს შეიცავს ქვესისტემას, რომლის მიმართ ყოველი სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს მწკრივი აბსოლუტურად შეჯამებადია ჩეზაროს აზრით.
- შესწავლილია ფუნქციათა დიფერენციალური კლასებისათვის ზოგადი ორთონორმირებული სისტემების(ონს) მიმართ ფურიეს მწკრივების ჩეზაროს მეთოდით შეჯამებადობის საკითხი. მთავარი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: როგორც ცნობილია, ზოგადი ონს-ების მიმართ „კარგი“ დიფერენციალური თვისებების მქონე ფუნქციათა ფურიეს მწკრივები საზოგადოდ არ არიან შეჯამებადი. თუმცა კლასიკური ონს-ებისათვის, როგორც არის ტრიგონომეტრიული, ჰაარის, უოლშისა და სხვა სისტემები „კარგი“ დიფერენციალური თვისებების ფუნქციათა ფურიეს მწკრივები შეჯამებადიც არის და კრებადიც. ამგვარად, ჩვენი ამოცანა არის, ყველა ონს-ების სიმრავლისაგან გამოვყოთ ის სისტემები, რომელთაც მიმართაც შეჯამებადი იქნებიან აღნიშნული კლასის ფუნქციების ფურიეს მწკრივები. ზემოაღნიშნულ სტატიაში შესწავლილია შეჯამებადობის საკითხები. უფრო ზუსტად: მოძებნილია პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ონს-ს ფუნქციები, რომ აღნიშნულმა სისტემამ დააკმაყოფილოს ე.მენშოვის და გ.ალექსიჩის პირობები. თავის მხრივ აღნიშნული პირობები უზრუნველყოფენ ლიპშიცის კლასისა და სასრული ვარიაციის კლასის ფუნქციათა ფურიეს მწკრივთა შეჯამებადობას. დამტკიცებულია, რომ მიღებული

- შედგები გაუძლიერებადია. შემოწმებულია პირობათა ეფექტურობა.
- შესწავლილია ზოგად ბანახის ფუნქციურ სივრცეებში ჰარდის ტიპის ოპერატორებისათვის აპროქსიმაციის, გელფანდის, კოლმოგოროვის, იზომორფიზმის რიცხვების ასიმტოტური შეფასებები. მიღებული შედეგები გვაძლევს ზემოთ მოყვანილი რიცხვების გაუძლიერებად ასიმტოტურ შეფასებებს მთელ რიგ არასტანდარტულ ბანახის სივრცეებში.
 - მიღებულია ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში ჰარდი-ლიტტლვუდის მაქსიმალური ოპერატორისათვის მაკენჰაუპტის პირობის ერთი დახასიათება, სახელდობრ აღნიშნული პირობა დაშლილია ორ პირობად რომელიც გამოიხატება კუბის მახასიათებელი ფუნქციის ნორმის შეფასებაში როგორც მოცემულ სივრცეში ასევე მის შეუღლებულ სივრცეში.
 - შესწავლილია ბანახის ფუნქციური სივრცეებისათვის ზედა ქვედა ტიპის შეფასებები. აღნიშნული ტიპის შეფასებები არსებით გამოყენებებს პოულობს სხვადასხვა ინტეგრალური, სინგულარული და მაქსიმალური ოპერატორების შემოსაზღვრულობის საკითხების შესწავლისას ფუნქციურ სივრცეებში. აგებულია ერთი ტიპი ფუნქციური სივრცეებისა რომელთაც გააჩნიათ ზედა (ქვედა) შეფასებები მაგრამ არ გააჩნიათ ქვედა (ზედა) შეფასებები.
 - ნაშრომში შეწავლილია საუკეთესო მიახლოების არაწრფივი ოპერატორები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებისათვის, როცა აღნიშნული სივრცეები არაა ნორმირებული, თუმცა წარმოადგენენ მეტრიკულ სივრცეებს.
 - შემოდებულია ცვლადმაჩვენებლიანი რისის ვარიაცია. დახასიათებულია ცვლადმაჩვენებლიანი სობოლევის სივრცე ცვლადმაჩვენებლიანი რისის ვარიაციის ფუნქციებით.
 - განხილულია კენტგულიანი წრფივი ოპერატორები და მათი საშუალებით განზოგადებულია მორიცისა და ავტორის ზოგიერთი შედეგი ფურიეს ორჯერად შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივთა განშლადობის შესახებ.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ახობაძე თეიმურაზ, ზვიადაძე შალვა	ფურიეს ტრიგონომეტრი- ული მწკრივების განზოგადებული ჩეზაროს საშუალოების თითქმის ყველგან განშლადობის შესახებ	25-29 იანვარი, 2016 წელი, თსუ, თბილისში
2	ახობაძე თეიმურაზ,	ფურიეს ტრიგონომეტრი- ული მწკრივების ჩეზაროს საშუალოების ასიმპტოტური შეფასების შესახებ	აპრილი, 2016 წელი, თსუ, თბილისში
3	ა. დანელია	შეუღლებული ფუნქციების k-ური რიგის უწყვეტობის მოდულის შესახებ.	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე

			ყოველწლიური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 25-29 იანვარი, 2016
4	გ. ჭელიძე.	კვანთრეკონსტრუქციის მწკრივების ჯამთა სიმრავლის შესახებ	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე ყოველწლიური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 25-29 იანვარი, 2016
5	G. Chelidze, B.Mamporia, Nodari Vakhania.	An Algorithm for Distributing Jobs in Cluster Environment.	South Caucasus Computing and Technology Workshop. October 4-7, 2016. Georgian Technical University.
6	უ. გოგინავა	ფურცელ მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ძლიერად შეჯამებადობის შესახებ	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე ყოველწლიური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 25-29 იანვარი, 2016
	გ. ნადიბაიძე	ბლოკებში ორთონორმირებული სისტემების მიმართ მწკრივების თითქმის ყველგან ძლიერად შეჯამებადობის შესახებ	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 25-29 იანვარი 2016 წელი

- მოხსენებაში გამოკვლეულია ინტეგრებადი ფუნქციის ფურიეს მწკრივის ჩეზაროს განზოგადებული საშუალოების ყოფაქცევა. როგორც ცნობილია, თუ $r_n > 0$ და $r_n \rightarrow 0$, მაშინ არსებობს უწყვეტი ფუნქცია, რომლის განზოგადებული ჩეზაროს საშუალოთა მიმდევრობა განშლადია გარკვეულ წერტილებში.
- კარგადაა ცნობილი ს.მ. ნიკოლსკის დებულება უწყვეტი ფუნქციების ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების კერძო ჯამების ასიმპტოტური ყოფაქცევის შესახებ უწყვეტობის მოდულების ტერმინებში. მოხსენებაში განიხილება აღნიშნული დებულების ანალოგი უწყვეტი ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების ჩეზაროს განზოგადებული საშუალოებისათვის.
- შესწავლილია შეუღლებული ფუნქციების სიგლუვის საკითხი ზოგიერთი კლასისათვის უწყვეტ ფუნქციათა სივრცეში
- მოხსენება ეხება კვატერნიონული მწკრივების ჯამთა სიმრავლეს. მიღებულია პირობა როცა ჯამთა სიმრავლე არის ჩაკეტილი ქვეველი კვატერნიონთა ველისა, რომელიც იზომეტრულად იზომორფულია კომპლექსურ რიცხვთა ველის.
- მოცემული ნაშრომი ეხება სამუშაოების ოპტიმალურად გადანაწილების ამოცანას პარალელურად სხვადასხვა პროცესორებზე. მოცემული კომბინატორული ოპტიმიზაციის პრობლემა რომელიც აქ ჩნდება არის - სირთულის. ამრიგად არ უნდა გვქონდეს ასეთი ამოცანების ოპტიმალურად „ამოხსნის“ იმედი . გარდა ამისა ობიექტური კრიტერიუმები ხშირად შეუთავსებლებია ერთმანეთთან. მოცემულ ნაშრომში შემოთავაზებულია ევრასტიკული მეთოდი თუ როგორ უნდა განაწილდეს სამუშაოები პარალელურად ცენტრალურ პროცესორებზე ისე, რომ პროცესორის შესვენების დრო იყოს მინიმალური. ჩვენი აღგორითმი მუშაობს არა
- დადგენილია საკმარისი პირობე მიმდევრობაზე, რომელიც უზრუნველყოფს ფურიეს მწკრივების ლოგარითმული საშუალოების ძლიერად შეჯამებადობას.
- შესწავლილია ბლოკებში ორთონორმირებული სისტემების მიმართ მწკრივების ჩეზაროს მეთოდით თითქმის ყველგან ძლიერად შეჯამებადობის საკითხები.

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	ლერი გოგოლაძე ვახტანგ ცაგარეიშვილი	Convergence of general Fourier series იხ.თეზისები გვ.16-17.	ე-9-ე საერთაშორისო სიმპოზიუმი”ფურიეს მწკრივები და მათი გამოყენება”.რუსეთის ფედერაცია,დურსი,სასტუმ რო “ჩაიკა”.
	უ. გოგინავა	Summability of Walsh-Fourier series. Recently results and open problems	2016, April 5. At the University of Nis, Serbia,

Math-13

უ. გოგინავა	On the strong summability of cubic partial sums of multiple Fourier series. Recently results and open problems.	2016, May 23. At the Belarus State University
უ. გოგინავა	On the convergence of Multiple Fourier series of functions of bounded generalized variation. Recently results and open problems	2016, October 19, At the University of Debrecen
უ. გოგინავა	On the Strong summability of multiple Fourier series. Recently results and open problems	2016, October 28, At the University of Debrecen
ადიბაიდზე	On the a.e. convergence and summability of series with respect to block-orthonormal systems.	The Prague seminar on function spaces, Faculty of Mathematics and Physics Charles University in Prague 12 October, 2016

- გადმოცემულია თეორემები, რომლებიც იძლევიან პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც დაისმის ზოგადი ორთონორმირებული სისტემებისათვის, როცა განიხილება საკითხი ლიპშიცის კლასის ფუნქციების ფურიეს მწკრივის კრებადობის შესახებ. მოყვანილია კრებადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.
- განხილულია ჯერადი ფურიეს მწკრივების კუბური და მართკუთხოვანი კერძო ჯამების ექსპონენციალურად შეჯამებადობის საკითხები.
- განხილულია განზოგადოებული სასრული ვარიაციის ფუნქციები და მათი გამოყენება ფურიეს მწკრივთა კრებადობის თეორიაში.
- შესწავლილია აუცილებელი და საკმარისი პირობები ბლოკების სიგრძეებზე სხვადასხვა სახის შეჯამებადობის მეთოდებისათვის

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1				
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)				

მექანიკის კათედრა

; სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება:

მათემატიკის დეპარტამენტი, მექანიკის კათედრა

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: **პროფ. გიორგი ჯაიანი**

; სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

პროფესორი გიორგი ჯაიანი

ასოცირებული პროფესორი ნატალია ჩინჩალაძე

ასისტენტ პროფესორი მაია სვანაძე

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გარსული ტიპის წამახვილებული სტრუქტურები სხვადასხვა ველების ზემოქმედების პირობებში	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი ნ. ჩინჩალაძე
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>ა) აგებულია იერარქიული მოდელები ფოროვანი დრეკადი და დრეკად-ბლანტი კვლევი-ფოიგტის მასალის პრიზმული გარსებისათვის წრფივი თეორიის ბა-ზაზე. სახელდობრ, ი. ვეკუას განზომილების რელუქციის მეთოდის [1,2] გამოყენებით, გამოყვანილია მმართველი სისტემები N-ურ მიახლოებაში. N=0 მიახლოებაში გამოკვლეულია გადაადგილებებისა და ფარდობითი მოცულო-</p>			

ბის ფუნქციისათვის სასაზღვრო პირობების დასმის თავისებურებები წამახვილებული პრიზმული გარსებისათვის. (გ. ჯაიანი)

ციტირებული ლიტერატურა:

[1] I.N. Vekua, Shell Theory: General Methods of Construction, Pitman Advanced Publishing Program, Boston-London-Melbourne, 1985.

[2] G. Jaiani, Cusped Shell-like Structures, Springer, Heidelberg, Dordrecht, London, New York, 2011.

ბ) მიკროპოლარული დრეკადობის თეორიის საფუძველზე პრიზმული გარსებისათვის წრფივი თეორიის ბაზაზე [1]-ში აგებული იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში შესწავლილია დინამიკის ამოცანა ცილინდრული რხევის შემთხვევაში. დასმული ამოცანა ამოხსნილია ფურიეს ცვლადთა განცალგების მეთოდის გამოყენებით. დასმული ამოცანების ამონახსნები ჩაწერილია უსასრულო მწკრივების სახით. დადგენილია აგებული მწკრივების თანაბრად და აბსოლუტურად კრებადობის საკითხი. (ნ. ჩინჩალაძე)

ციტირებული ლიტერატურა:

[1] G. Jaiani, On micropolar elastic cusped prismatic shells, Transactions of A. Razmadze Mathematical Institute 170 (2016) 376–384

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულებების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1				
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I. 4.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	ბინარულ ნარევთა ბლანტი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიების სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევა	რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი, 2015)	მაია სვანაძე	მაია სვანაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპისძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
1. აიგო ბინარულ ნარევთა ბლანტი დრეკადობის თეორიის კვაზისტატიკისა და				

<p>მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემების ფუნდამენტური ამონახსნები და დადგინდა მათი თვისებები.</p> <p>2. მიღებულია გრინის ფორმულები და დამტკიცდა ბინარულ ნარევთა ბლანტი დრეკადობის თეორიის კვაზისტატიკისა და მდგრადი რხევის შიგა სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობის თეორემები.</p> <p>3. დადგინდა გამოსხივების პირობები და დამტკიცდა ბინარულ ნარევთა ბლანტი დრეკადობის თეორიის კვაზისტატიკისა და მდგრადი რხევის გარე სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობის თეორემები.</p> <p>4. დადგინდა ზედაპირული და მოცულობითი პოტენციალების ძირითადი თვისებები, სასაზღვრო ამოცანები დაყვანილია სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე და გამოკვლეულია ამ განტოლებების ამოხსნადობის საკითხი.</p> <p>5. დამტკიცდა ბინარულ ნარევთა ბლანტი დრეკადობის თეორიის კვაზისტატიკისა და მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების არსებობის თეორემები.</p>

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	George Jaiani	A model of layered prismatic shells/ Continuum Mechanics and Thermodynamics (ჟურნალი იდექსირებულია, როგორც Thomson-ის ასევე Scopus-ის ბაზაში)	28 765-784 2016	Springer	20

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

სტატია ეძღვნება დრეკადი ფენოვანი პრიზმული გარსებისთვის ავტორის მიერ შემოთავაზებულ მოდელს, რომელიც არსებითად განსხვავდება ცნობილი მოდელებისაგან. ი. ვეკუას განზომილების რედუქციის მეთოდის სათანადოდ მოდიფიცირებით აგებულია დრეკადი ფენოვანი პრიზმული გარსების იერარქიული მოდელები. მთელი სტრუქტურისათვის მიღებულია მის პროექციაზე განსაზღვრული მმართველ განტოლებათა შებმული სისტემები. აგებული მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვხსნით სასაზღვრო ამოცანებს ცალცალკე

ფენებისათვის. ამასთან დაწვებული მეორე ფენიდან ვიყენებთ წინა ფენისათვის სასაზღვრო ამოცანების მიღებულ ამონახსნებს. ვუთითებთ მმართველი განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევის გზებს. კერძოდ, გადმოცემის სიმარტივისათვის ვიხილავთ ორი ფენის შემთხვევას ნულოვან მიახლოებაში. თუმცა, ვაკეთებთ შენიშვნებს იმ შემთხვევებზეც, როცა ფენების რიცხვი ორზე მეტია ან მაღალი რიგის იერარქიული მოდელები უნდა იქნას გამოყენებული. როგორც მაგალითს ვიხილავთ დეფორმაციის კერძო შემთხვევას და ცხადი სახით ვხსნით შესაბამის სასაზღვრო ამოცანას.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	George Jaiani	Vekua type hierarchical models for prismatic shells with mixed conditions on face surfaces/ Composite Structures (ჟურნალი იდექსირებულია, როგორც Thomson-ის ასევე Scopus-ის ბაზაში)	Vol. 152, 226-238, 2016	Elsevier	13

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

ი. ვეკუამ ააგო დრეკადი პრიზმული გარსების, კერძოდ, ცვლადი სისქის ფირფიტების იერარქიული მოდელები, როცა გარსის პირით ზედაპირებზე მოცემულია ან დაბევები ან გადაადგილებები. სტატიაში აგებულია სხვა იერარქიული მოდელები დრეკადი პრიზმული გარსებისათვის, როცა პირით ზედაპირებზე მოცემულია ან გარსის პროექციისადმი დაბვის ვექტორის ნორმალური მდგენელი და პროექციისადმი პარალელური გადაადგილებები; ან გადაადგილების ვექტორის პროექციისადმი ნორმალური გეგმილი და დაბვის ვექტორის გარსის პროექციისადმი პარალელური კომპონენტები. ასევე ვაგებთ იერარქიულ მოდელებს, როცა პირით ზედაპირებზე სხვა შერეული პირობებია მოცემული. განსახილველი იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში ვიკვლევთ წამახვილებულ ნაპირებზე სასაზღვრო პირობების კორექტულად დასმის თავისებურებებს, რომლებიც წამახვილებული ნაპირის გეომეტრიაზეა დამოკიდებული. კონკრეტულ შემთხვევებში ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ამოხსნილია ცხადი სახით. როგორც აგებული ვეკუას ტიპის მოდელების კომპოზიტური სტრუქტურების შემთხვევაში გამოყენების მაგალითს, ვიხილავთ ლამინატებს x_2 ღერძის პარალელური ბოჭკოებით სუფთა ძვრის შემთხვევაში. ასევე შესწავლილია გაჭიმვა-კუმშვის ამოცანაც.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	George Jaiani	On micropolar elastic cusped prismatic shells / Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ჟურნალი იდექსირებულია Scopus-ის ბაზაში)	Vol. 170, 376-384, 2016	Elsevier	9

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

მრავალი ნაშრომი მიეძღვნა კლასიკური დრეკადობის თეორიის საფუძველზე წამახვილებული პრიზმული გარსების შესწავლას, რაც სტიმულირებული იყო ი. ვეკუას ნაშრომით [1] (იხ. აგრეთვე [2]). ი. ვეკუა თვლიდა ძალზე მნიშვნელოვნად ასეთი

სხეულებისათვის სასაზღვრო და საწყის სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევას, რამდენადაც ეს დაკავშირებულია გადაგვარებულ დიფერენციალურ განტოლებებსა და სისტემებთან და აქედან გამომდინარე, საზოგადოდ არაკლასიკურია (ამ მიმართულებით მიღებული შედეგების მიმოხილვა იხ. [3]-ში, იხ. აგრეთვე იქ მითითებული ციტირებები). წინამდებარე სტატია ეძღვნება წამახვილებული პრიზმული გარსებისათვის სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების დასმასა და გამოკვლევას მიკროპოლარული დრეკადობის თეორიის [4,5] საფუძველზე. სახელდობრ, იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში დადგენილია, რომ სასაზღვრო პირობების კორექტულად დასმისას თავს იჩენს პრიზმული გარსის წამახვილებით გამოწვეული თავისებურებები და მათი დასმა არაკლასიკურია, ხოლო საწყისი პირობების დასმა კლასიკური რჩება.

ციტირებული ლიტერატურა

[1] I.N. Vekua, On one method of calculating of prismatic shells, Tr. Tbilis. Mat. Inst. 21 (1955) 191–259. Russian.
 [2] I.N. Vekua, Shell Theory: General Methods of Construction, Pitman Advanced Publishing Program, Boston-London-Melbourne, 1985.
 [3] G. Jaiani, Cusped Shell-like Structures, Springer, Heidelberg, Dordrecht, London, New York, 2011.
 [4] V.D. Kupradze, T.G. Gegelia, M.O. Basheleishvili, T.V. Burchuladze, in: V.D. Kupradze (Ed.), Three-dimensional Problems of The Mathematical Theory of Elasticity and Thermoelasticity, in: North-Holland Series in Applied Mathematics and Mechanics, vol. 25, NorthHolland Publishing Co., Amsterdam-New York, 1979, Translated from The Second Russian Edition.
 [5] J. Dyszlewicz, Micropolar Theory of Elasticity, in: Lecture Notes in Applied and Computational Mechanics, Springer-Verlag, Berlin, 2004.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ნ. ჩინხალაძე	On one problem of a Cusped Elastic Prismatic Shells in Case of the third Model of Vekua's Hierarchical Model// Hacettepe Journal of Mathematics and Statistics (ჟურნალი იდექსირებულია, როგორც Thomson-ის ასევე Scopus-ის ბაზაში)	45, No. 6, 2016 DOI: 10.15672/HJMS.20164516346 http://www.hjms.hacettepe.edu.tr/ Early-Access	Turkey Hacettepe Üniversity 06800 Beytepe Ankara	9

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

ვეკუას იერარქიული მოდელების ნულოვან მიახლოებაში განხილულია ისეთი წამახვილებული დრეკადი გარსები, რომლის ზედაპირზე მოცემულია ძაბვის ნორმალური და გადაადგილების მხები მდგენელები. მოცემულია დასმული ამოცანის ვარიაციული ფორმულირება. აგებულია გარკვეული წონიანი სივრცეები. დამტკიცებულია ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თეორემები აგებულ სივრცეებში. შესწავლილია აგებული სივრცეების და წონიანი სობოლევის სივრცეების ურთიერთ მიმართება.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
